განმარტებითი ბარათი
„საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“
საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

ა.ა.ა.) პრობლემა, რომლის გადაჭრასაც მიზნად ისახავს კანონპროექტი:

1. გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება საკონტროლო-სალარო აპარატია. საქონლის ან მომსახურების მიღებისას საბანკო პლასტიკური ბარათით (მათ შორის ელექტრონული კომერციის ფარგლებში) წარმოებული გადახდები მნიშვნელოვნად აღემატება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მაჩვენებელს. შესაბამისად, ეფექტური საგადასახადო ადმინისტრირებისათვის მნიშვნელოვანია უნივერსალური სალარო აპარატის არსებობა, რაც საგადასახადო ორგანოს მისცემს შესაძლებლობას, როგორც ნაღდი ფულით, ასევე, უნაღდო ფორმით ანგარიშსწორებისას განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ მიიღოს ინფორმაცია.

2. საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციის, ასევე მისი ტექნიკური მომსახურების სფეროში არსებული პრაქტიკა ქმნის აუცილებლობას, რომ გამარტივდეს პროცესი. ამასთანავე, ეკონომიკური საქმიანობის ობიექტზე ანგარიშსწორების ერთი ოპერაციის აღრიცხვა წარმოებს ერთმანეთთან ტექნიკურად დაკავშირებული, ან დამოუკიდებლად ფუნქციონირებადი რამდენიმე ტექნიკური მოწყობილობით (მათ შორის, სხვადასხვა საბანკო ტერმინალით), რაც ართულებს მომხმარებლისათვის საქონლის/მომსახურების დროულ სერვისს.

ა.ა.ბ) არსებული პრობლემის გადასაჭრელად კანონის მიღების აუცილებლობა:

1. საქართველოს საგადასახადო კოდექსის თანახმად, ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან მხოლოდ ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისას წარმოებს შესაბამისი მონაცემების აღრიცხვა საკონტროლო-სალარო აპარატით. გადასახადის გადამხდელის მიერ საქონლის მიწოდებით ან/და მომსახურების გაწევით მიღებული შემოსავლების რეალური მოცულობის დადგენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საშუალება საკონტროლო-სალარო აპარატია, რომლის მეშვეობით, საქართველოს ფინანსთა

მინისტრის მიერ დადგენილი წესით მონაცემები ონლაინ რეჟიმში გადაეცემა შემოსავლების სამსახურს. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ, მომხმარებელს მისცა შესაძლებლობა საქონლის ან მომსახურეობის მიღებისას ანგარიშსწორება განახორციელოს უნაღდო გადახდის გზით, პერსონიფიცირებული საგადამხდელო საშუალებით - საბანკო პლასტიკური ბარათის მეშვეობით. საქონლის ან მომსახურების მიღებისას (მათ შორის ელექტრონული კომერციის ფარგლებში) საბანკო პლასტიკური ბარათით წარმოებული გადახდები, რომელიც არ აღირიცხება საკონტროლო-სალარო აპარატით, მნიშვნელოვნად აღემატება ნაღდი ფულით ანგარიშსწორების მაჩვენებელს და შესაბამისად, პროექტით გათვალისწინებულია ა ისეთი ტიპის უნივერსალური სალარო აპარატის შემოღება, რომლის მეშვეობითაც შემოსავლების სამსახური შეძლებს, როგორც ნაღდი ფულით, ასევე, უნაღდო ფორმით (საგადახდო ბარათის მეშვეობით) ანგარიშსწორებისას განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის მიღებას. ამასთან, ყველა ტიპის ტერმინალი (უნაღდო ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი) და ნაღდი ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი სალარო გაერთიანებული იქნება ერთ მოწყობილობაში.

2. საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციის (გადასახადის გადამხდელთა მომსახურების ერთ-ერთი სახის), ასევე მისი ტექნიკური მომსახურების სფეროში არსებული პრაქტიკა ქმნის აუცილებლობას, რომ რეგისტრაციის პროცესს მიეცეს ორგანიზებული/ცენტრალიზებული ხასიათი, რაც გაამარტივებს და სრულყოფილს გახდის მოცემულ სერვისს გადასახადის გადამხდელებისათვის. მათ შორის, ეკონომიკური საქმიანობის ობიექტებზე შესაძლებელს გახდის ერთეული (კონკრეტული) მოწყობილობით ანგარიშსწორების ოპერაციის განხორციელებასა და აღრიცხვას, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

ა.ბ) კანონპროექტის მოსალოდნელი შედეგები:

საქონლის ან მომსახურების მიღებისას საბანკო პლასტიკური ბარათით წარმოებული გადახდების შესახებ მონაცემები აღირიცხება საკონტროლო სალარო აპარატით, ეკონომიკური საქმიანობის ობიექტებზე შესაძლებელი იქნება ერთეული (კონკრეტული) მოწყობილობით ანგარიშსწორების ოპერაციის აღრიცხვა, როგორც ნაღდი, ასევე უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით. საკონტროლო-სალარო აპარატის რეგისტრაციის და მისი ტექნიკური მომსახურების პროცესი გამარტივდება და გახდება ცენტრალიზებული. შედეგად შემოღებულ იქნება უნივერსალური ტიპის სალარო აპარატი, რომლის მეშვეობითაც შემოსავლების სამსახური შეძლებს, როგორც ნაღდი ფულით, ასევე, უნაღდო ფორმით (საგადახდო ბარათის მეშვეობით) ანგარიშსწორებისას განხორციელებული ტრანზაქციების შესახებ ინფორმაციის

მიღებას. ამასთან, ყველა ტიპის ტერმინალი (უნაღდო ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი) და ნაღდი ანგარიშსწორებისთვის განკუთვნილი სალარო გაერთიანებული იქნება ერთ მოწყობილობაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

წარმოდგენილი პროექტით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის მე-8 მუხლს ემატება ახალი ნაწილი, რომლითაც განიმარტება საკონტროლო-სალარო აპარატი, რომელიც საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, განხილული იქნება, როგორც - ელექტრონული პროგრამული უზრუნველყოფა ან/და ტექნიკური მოწყობილობა, რომელიც საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს უზრუნველყოფს საბარათე გადახდის ოპერაციის განხორციელებასა და მომხმარებელთან როგორც ნაღდი ფულით ანგარიშსწორების, ისე საბარათე გადახდის ოპერაციის შესახებ შესაბამისი მონაცემების აღრიცხვას, შენახვას და საგადასახადო ორგანოსათვის გადაცემას.

ცვლილება შეეხება საქართველოს საგადასახადო კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ლ“ ქვეპუნქტს, საიდანაც ამოღებულ იქნა მითითება ნაღდი ფულით ანგარიშსწორებისათვის დასაშვები მოდელების სახელმწიფო რეესტრთან დაკავშირებით. ახალი რედაქციით ყალიბდება 259-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლის თანახმად, კეთდება ხაზგასმა, რომ ეკონომიკური საქმიანობის განმახორციელებელი პირის მიერ საქონლის/მომსახურების მიწოდების დროს მომხმარებლებთან ნაღდი ფულით ან საბარათე გადახდის ოპერაციით ანგარიშსწორებისას შესაბამისი მონაცემები აღირიცხება საკონტროლო-სალარო აპარატის გამოყენებით. ამასთან, ამავე მუხლს ემატება მე-5 - მე-7 ნაწილები, რომლის თანახმად, გადასახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატით და ელექტრონული კომერციის ტერმინალით უზრუნველყოფასა და მის ტექნიკურ მომსახურებას განახორციელებს საქართველოს მთავრობის მიერ შექმნილი კომისიის მიერ შერჩეული პირი. კომისიის შემადგენლობაში მონაწილეობას მიიღებენ სსიპ შემოსავლების სამსახური და სსიპ საქართველოს ეროვნული ბანკი. აღნიშნული პირისათვის გადასახადის გადამხდელის მიერ გადასახდელი მომსახურების საფასურის ოდენობა და მისი გადახდის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

უნაღდო ანგარიშსწორების აღურიცხველობის სანქცირების მიზნებისთვის ცვლილება ეხება 281-ე მუხლის პირველ და მე-3 ნაწილებსაც.

კანონპროექტის მიხედვით, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 309-ე მუხლს ემატება გარდამავალი დებულებები, რომლის თანახმად, 2027 წლის 1 იანვრიდან საგადასახადო ორგანოში რეგისტრაციას დაექვემდებარება მხოლოდ მე-8 მუხლის 57-ე

ნაწილით გათვალისწინებული ახალი ტიპის საკონტროლო-სალარო აპარატი. ამასთან, კეთდება ხაზგასმა, რომ გადასახადის გადამხდელი უფლებამოსილი იქნება 2028 წლის 1 მაისამდე მომხმარებელთან ანგარიშსწორებისას გამოიყენოს 2027 წლის 1 იანვრამდე რეგისტრირებული საკონტროლო-სალარო აპარატი.

ა.დ) კანონპროექტის კავშირი სამთავრობო პროგრამასთან და შესაბამის სფეროში არსებულ სამოქმედო გეგმასთან, ასეთის არსებობის შემთხვევაში (საქართველოს მთავრობის მიერ ინიციირებული კანონპროექტის შემთხვევაში):

აღნიშნული ქვეპუნქტი არ გამოიყენება წარმოდგენილ კანონპროექტთან მიმართებით (წარმოდგენილი კანონპროექტი არ არის ინიცირებული საქართველოს მთავრობის მიერ)

ა.ე) კანონპროექტის ძალაში შესვლის თარიღის შერჩევის პრინციპი, ხოლო კანონისთვის უკუძალის მინიჭების შემთხვევაში, აღნიშნულის თაობაზე შესაბამისი დასაბუთება:

კანონპროექტის ამოქმედება გათვალისწინებულია შემდეგ ეტაპებად, კერძოდ:

კანონპროექტის ის დებულებები, რომელიც ითვალისწინებს გადასახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატით უზრუნველყოფისა და მისი ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევას, აგრეთვე, დებულება, რომელიც ითვალისწინებს პირისათვის გადასახდელი მომსახურების საფასურის ოდენობის, მისი გადახდის წესისა და პირობების საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრას, ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე.

კანონპროექტის დანარჩენი დებულებები ამოქმედდება 2027 წლის 1 იანვრიდან. აღნიშნულ პერიოდამდე საქართველოს მთავრობა უზრუნველყოფს გადასახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატით უზრუნველყოფისა და მისი ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევის წესის განსაზღვრას და შესაბამისად საქართველოს ეროვნული ბანკისა და შემოსავლების სამსახურის მიერ უზრუნველყოფილ იქნება გადასახადის გადამხდელის საკონტროლო-სალარო აპარატით უზრუნველყოფისა და მისი ტექნიკური მომსახურების განმახორციელებელი პირის შერჩევა. ამასთან, აღნიშნულ პერიოდამდე, საქართველოს მთავრობა, ასევე უზრუნველყოფს პირისათვის გადასახდელი მომსახურების საფასურის ოდენობის, მისი გადახდის წესისა და პირობების განსაზღვრას.

რაც შეეხება, ამჟამად მოქმედი საკონტროლო-სალარო აპარატების მოქმედების, ასევე, აღნიშნული აპარატების ჩანაცვლების ვადებს, განხორციელდება ეტაპობრივად, კერძოდ, პროექტის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ეტაპების შესაბამისად.

ა.ვ) კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვის მიზეზები და შესაბამისი დასაბუთება (თუ ინიციატორი ითხოვს კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვას):

კანონპროექტის დაჩქარებული წესით განხილვა არ არის მოთხოვნილი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური გავლენის შეფასება საშუალო ვადიან პერიოდში (კანონპროექტის ამოქმედების წელი და შემდგომი 3 წელი). მასში აღინიშნება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დაფინანსების საჭიროებას.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტი არ მოახდენს გავლენას სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ან/და მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, ვინაიდან, პროექტი შინაარსობრივად არ ითვალისწინებს საბიუჯეტო სახსრების გამოყოფას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები, კანონპროექტის გავლენით სახელმწიფოს ან მის სისტემაში არსებული უწყების მიერ მისაღები პირდაპირი ფინანსური ვალდებულებების (საშინაო ან საგარეო ვალდებულებები) მითითებით:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსთვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოშობას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება, იმ ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე გავლენის ბუნებისა და მიმართულების მითითებით,

რომლებზედაც მოსალოდნელია კანონპროექტით განსაზღვრულ ქმედებებს ჰქონდეს პირდაპირი გავლენა:

გადასახადის გადამხდელებს მოუწევთ არსებული საკონტროლო-სალარო აპარატების ახლით ჩანაცვლება, ასევე, შერჩეული პირისათვის მომსახურების საფასურის გადახდა, გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება მთავრობის გადაწყვეტილებაზე.

კანონპროიექტით ავტომატიზებული ან მექანიკური მოწყობილობების მეშვეობით საქმიანობის განმახორციელებელი პირები ვალდებული იქნებიან გამოიყენონ საკონტროლო-სალარო აპარატები.

ასევე, კანოპროექტი გავლენას იქონიებს არსებულ საკონტროლო-სალარო აპარატების მიმწოდებელ პირებზე, ვინაიდან ეტაპობრივად მოხდება მათი ჩანაცვლება ახლით, ამასთან, დადებით ფინანსურ გავლენას იქონიებს საკონტროლო-სალარო აპარატით და ელექტრონული კომერციის ტერმინალით უზრუნველყოფის განმახორციელებელ პირზე, ხოლო ფინანსური გავლენის ოდენობა დამოკიდებული იქნება მთავრობის მიერ შექმნილი კომისიის მიერ დადგენილ პირობებზე.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის (ფულადი შენატანის) ოდენობა შესაბამის ბიუჯეტში და ოდენობის განსაზღვრის პრინციპი:

კანონპროექტით არ ხდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრა.

ბ[1]) ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე კანონპროექტის ზეგავლენის შეფასება:

კანონპროექტი ზეგავლენას არ ახდენს ბავშვის უფლებრივ მდგომარეობაზე.

ბ[2]) ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე კანონპროექტის მოსალოდნელი ზეგავლენის შეფასება;

კანონპროექტი გავლენას არ ახდენს ქალისა და მამაკაცის თანასწორობის მდგომარეობაზე.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან.მასში აღინიშნება:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის სამართალთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის სამართალს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან, აგრეთვე, ისეთი ხელშეკრულების/შეთანხმების არსებობის შემთხვევაში, რომელსაც უკავშირდება კანონპროექტის მომზადება, – მისი შესაბამისი მუხლი ან/და ნაწილი:

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

გ.დ) არსებობის შემთხვევაში, ევროკავშირის ის სამართლებრივი აქტი, რომელთან დაახლოების ვალდებულებაც გამომდინარეობს „ერთი მხრივ, საქართველოსა და, მეორე მხრივ, ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერგიის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებიდან“ ან ევროკავშირთან დადებული საქართველოს სხვა ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებიდან:

ასეთი არ არსებობს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები. მასში აღინიშნება:

დ.ა) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, სამუშაო ჯგუფი, რომელმაც მონაწილეობა მიიღო კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

ასეთი არ არსებობს.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის/დაწესებულების, სამუშაო ჯგუფის, ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) სხვა ქვეყნების გამოცდილება კანონპროექტის მსგავსი კანონების იმპლემენტაციის სფეროში, იმ გამოცდილების მიმოხილვა, რომელიც მაგალითად იქნა

გამოყენებული კანონპროექტის მომზადებისას, ასეთი მიმოხილვის მომზადების შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიჟინაძე, ირაკლი ხელაძე, ბეჟან წაქაძე, ზურაბ რურუა, გიორგი ბარვენაშვილი, ლევან მაჭავარიანი.

ვ) კანონპროექტის ინიციატორი: საქართველოს პარლამენტის წევრები: პაატა კვიჟინაძე, ირაკლი ხელაძე, ბეჟან წაქაძე, ზურაბ რურუა, გიორგი ბარვენაშვილი, ლევან მაჭავარიანი.